# ხაშურის მოამბე

№11 (482) 1 აპრილი, სამშაბათი, 2025 წელი


## ქარელში, საკონსულტაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ლევან ხარაბაძის ხელმძღვანელობით, ქარელში, საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. შეხვედრას მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

სხდომაზე, 2025 წელს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები, ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ დაფინანსებული სამუშაოები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობა განიხილეს. როგორც მუნიციპალიტეტების მერებმა აღნიშნეს, ინფრასტრუქტურული სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. გარდა ამისა, საბჭოს წევრებმა შიდა ქართლის რეგიონში განსახორციელებელი ახალი პროექტებიც მოიწონეს.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

## კომისიის სხდომა

27 მარტს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ, მიხეილ ჯანაშვილის თავმჯდომარეობით, მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს მორიგ სხდომაზე საკითხების გატანა:

დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მიმდებარე შესახვევებისათვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რევაზ თაბუკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

ამავე დასახლებაში მდებარე ამაღლების ქუჩის ერთ მონაკვეთისათვის ამაღლების I შესახვევის სახელი მინიჭების შესახებ;

დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი განშტოებებისათვის „ბერი გაბრიელ სალოსის“ სახელის მინიჭების შესახებ.

აგრეთვე, განიხილა შოლის სანაპიროს ქუჩის მოსახლეობის ინიციატივა ქუჩის მონაკვეთისათვის 26 მაისის პირველ შესახვევის სახელდების შესახებ, რაზეც გაგრძელდება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები.

## ტრენინგი ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით

შეხვედრა განხორციელდა პროექტის: „ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა ბავშვზე ორიენტირებული მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციაში საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ (ათეა), გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ფონდის დაფინანსებით.

პროექტის ახალგაზრდობის ჩართულობის გაძლიერების კომპონენტი მიზნად ისახავს

ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებას ბავშვზე ფოკუსირებული მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის ხელშეწყობისთვის.

## აღინიშნა დაუნის სინდრომის დღე

გასულ კვირას, დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით, თოჯინების თეატრმა, „მომავლის სახლისა“ და „დღის მოვლის ცენტრის“ ბენეფიციარებს სპექტაკლ „ბაბაჯანაზე“ უმასპინძლა.

პატარები ტკბილეულით და სიმბოლური საჩუქრებით გაახარეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა-კონსტანტინე ფრუიძემ და კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმა.

დაუნის სინდრომის დღე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება და ემსახურება გარკვეული სტიგმების მსხვრევასა და ცნობიერების ამაღლებას.

# პატრიოტიზმი და გლობალიზაცია

პატრიოტიზმი და გლობალიზაცია, ერთი მხრივ, წინააღმდეგობრივ, ხოლო მეორე მხრივ, ურთიერთშეთავსებად ცნებებს წარმოადგენს. პატრიოტიზმი გულისხმობს საკუთარი ქვეყნის სიყვრულს, ტრადიციებისა და კულტურის ერთგულებას, ხოლო გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს განუყოფელი პროცესია, რომელიც ერებს ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული კავშირების გზით. ამ ორ ძალას შორის ბალანსის დაცვა 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

პატრიოტიზმი არ არის უბრალოდ ემოციური განცდა; ის ეროვნული

თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის და საზოგადოებრივი ერთიანობის საფუძველია. როცა ადამიანი საკუთარ ქვეყანას უჭერს მხარს, ის არა მხოლოდ მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში მონაწილეობს, არამედ იცავს ისტორიულ ფასეულობებსაც. მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იაპონია და ფინეთი, წარმატებულად უთავსებენ ეროვნულ თვითმყოფადობასა და თანამედროვე პროგრესს. იაპონია ინარჩუნებს ტრადიციებს, თანაც ტექნოლოგიური განვითარების წამყვან ძალად რჩება. თუმცა, პატრიოტიზმს შეიძლება ორი სახე ჰქონდეს: კონსტრუქციული და დესტრუქციული. კონსტრუქციული პატრიოტიზმი საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას, მისი განვითარების წახალისებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას გულისხმობს. მეორე მხრივ, უკიდურესმა ნაციონალიზმმა შეიძლება გამოიწვიოს იზოლაციონიზმი და ქსენოფობია, რაც ქვეყნის განვითარებას აფერხებს. გლობალიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან აახლოებს. საერთაშორისო ვაჭრობა, ტექნოლოგიური ინოვაციები და კულტურული გაცვლა ხელს უწყობს პროგრესს, მაგრამ ამავდროულად, ბევრ ქვეყანაში ეროვნული იდენტობის კრიზისსაც იწვევს. ბევრი თვლის, რომ გლობალიზაცია პატრიოტიზმის განადგურებას იწვევს, რადგან კულტურული განსხვავებები თანდათან ქრება და სახელმწიფოები ერთმანეთს ემსგავსებიან. მაგალითად, ინგლისურენოვანი მასმედიის დომინირებამ ადგილობრივი ენების პოპულარობა შეამცირა. თუმცა, გლობალიზაციას დადებითი მხარეც აქვს – ის ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, ეკონომიკურ სტაბილურობას და ცოდნის გავრცელებას.

მიუხედავად მათი განსხვავებული ბუნებისა, პატრიოტიზმი და გლობალიზაცია შეიძლება თანაარსებობდნენ. ამასთან, ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საზოგადოება მოახერხებს ბალანსის დაცვას. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გერმანია, რომელიც, ერთი მხრივ, აქტიურად მონაწილეობს გლობალურ ეკონომიკაში, ხოლო მეორე მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარ კულტურულ ფასეულობებს. ასევე, სამხრეთ კორეა ახერხებს, რომ ტექნოლოგიური გიგანტი იყოს, თუმცა ტრადიციების პატივისცემა არ დაკარგოს. გლობალიზაციის პირობებში პატრიოტიზმის თანამედროვე ფორმა უნდა ითვალისწინებდეს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, საკუთარი ქვეყნის განვითარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის

გაძლიერებას.

პატრიოტიზმი და გლობალიზაცია, მიუხედავად თავიანთი განსხვავებული პრინციპებისა, შეიძლება არა როგორც მოწინააღმდეგე, არამედ როგორც ურთიერთშემავსებელი ძალები განვიხილოთ. თანამედროვე მსოფლიოში წარმატება იმ ქვეყნებს მოაქვს, რომლებიც ახერხებენ ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებას გლობალური განვითარების პროცესში.

**ელენე გოგალაძე. ხაშურის | საჯარო სკოლის 10-ე კლასის მოსწავლე**

# ხაშურში, აგარის ქუჩის რეაბილიტაცია იწყება

მოასფალტების დაწყებამდე მოსამზადებელი სამუშაოები, ადგილზე მოინახულეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ - გიორგი პაპიაშვილმა.

პროექტი, რომლის ღირებულებაც ჯამში1 272 265 ლარს შეადგენს, ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

## კოლეჯის სტუდენტები- ხაშურის მუზეუმში

გასულ კვირას, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდნენ თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტები(ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი დოდელია). მათ ინტერესით დაათვალიერეს სამუზეუმო გამოფენები.

სტუმრებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ხაშურის, როგორც სარკინიგზო ქალაქის ისტორიისა და ტრადიციების მიმართ.

ჯგუფთან იმუშავეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების მენეჯერმა დალი ხაჩიძემ და ფონდების მთავარმა მცველმა მზია ლობჟანიძემ.

- ხელოვნება -

## „ჰარირა“ - ანსამბლი, რომელსაც საკუთარი ხელწერა აქვს

ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, რომელიც ნიჭიერი ქორეოგრაფების ნაკლებობას არ განცდის, ახლახან გამოჩნდა გოგონა, საოცარი შრომისმოყვარეობით და მიზანდასახულობით. მაშო გელაშვილი ერთ-ერთია იმ ნიჭიერ ქორეოგრაფთა ჩამონათვალში, რომლებმაც ცეკვა პროფესიად აქციეს და ამ საინტერესო და გამოწვევებით სავსე სფეროში დამკვიდრებას ცდილობენ.

მაშო 2007 წლიდან ცეკვავს. 2020 წელს შექმნა სტუდია. მეოთხე წელია რაც ჩამოაყალიბა ანსამბლი „ჰარირა“, რომლის სახელწოდება მეგრულ ცეკვას უკავშირდება. არსებობის მცირე დროის მანძილზე, ანსამბლმა არაერთი

ცეკვა დადგა, საზოგადოების ყურადღება კი რეპერტუარში შესული ორი ახალი ცეკვით მიიპყრო: „ქართლ-კახური საზეიმო“ და „მეგრული“.

მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა ქალაქების ფესტივალებში, როგორიცაა „მზიანი საქართველო“ (ქობულეთი) „ფანტელი“ (წაღვერი), „ოქროს ხალიჩა“ (მცხეთა), ,,ოქროს ორდენი - 2024“ (თბილისი) და სხვა. მოპოვებული აქვს ოქროს მედალი და დიპლომები. ანსამბლის ხელმძღვანელი პირველი გასვლითი კონცერტის შთაბეჭდილებებზეც გვესაუბრება:

გასული წლის 7დეკემბერს, ანსამბლი სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაემგზავრა და გასტროლის ფარგლებში, სხვა ჯგუფებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კონცერტში, სადაც ეროვნული ცეკვებით და მუსიკით საქართველოს კულტურა ღირსეულად წარმოაჩინეს.

ერევანში მოგზაურობა მართლაც დაუვიწყარი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ანსამბლისთვის ეს პირველი წარმატებული საკონცერტო გასვლა იყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მაყურებლის აღფრთოვანება და აპლოდისმენტები უდიდესი მოტივაცია იყო მათთვის, კიდევ ერთხელ ირწმუნეს, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ტრადიციების გაცნობა საერთაშორისო აუდიტორიისთვის. ზაფხულში კი ანსამბლი ემზადება თურქეთში, ქალაქ სტამბულში გასამგზავრებლად.

- გარდა ფესტივალებისა, „ჰარირა“ აქტიურად მონაწილეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, როგორიცაა 26 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტი, „ხაშურობა“ და სხვ.

დიახ, ვცდილობთ, მუდმივად გავზარდოთ ანსამბლის ცნობადობა. წმინდა ნინოს ხსენების დღეს ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ჩვენი ანსამბლის წევრები საზეიმო ლიტურღიას დაესწრნენ ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში და ზოგიერი მათგანი პირველად ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ანსამბლმა მიიღო უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დალოცვის სიგელი, საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებისა და საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის (ხელმძღვანელი - კახაბერ მარკოიშვილი) ერთობლივ პროექტში მონაწილეობისათვის, რომლის მიზანია მოზარდებმა მიიღონ სულიერი საზრდო, ეზიარონ და დაამშვენონ დღესასწაულები. ჩვენ ვამაყობთ, რომ შეგვიძლია ქართული კულტურის ეს ულამაზესი ელემენტი ვაჩვენოთ და პატივი მივაგოთ ჩვენი წინაპრების ტრადიციებს.

2 თებერვალს, ასევე, პატრიარქის ჩოხოსნების საყოველთაო შეხვედრაზე მიგვიწვიეს ხაშურში, რომელსაც ესწრებოდნენ ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები საქართველოს ყველა რეგიონიდან და მოწვეული სტუმრები. საღამო სხვა ქორეოგრაფებთან ერთად გავალამაზეთ და დიდი მოწონება დავიმსახურეთ.

-მაშო, ყველა ქორეოგრაფი ცდილობს საკუთარი ხელწერა ჰქონდეს, რაც სხვებისგან გამოარჩევს, თქვენ რით ცდილობთ თავის დამკვიდრებას საკმაოდ კონკურენტულ გარემოში.

- ჩვენთვის ქორეოგრაფიაში კონკურენცია ყოველთვის განვითარებას და ხარისხის გაუმჯობესებას ნიშნავს, და ჩვენ ამას დადებითად ვუყურებთ. რაც შეეხება ჩვენს ანსამბლს, ჩვენი ნიშა არის ტრადიციული ქართული ცეკვის სიღრმისეული შესწავლა და მისი თანამედროვე ინტერპრეტაციით გადმოცემა, ისე რომ არ დავკარგოთ მისი ავთენტურობა. ვცდილობთ ცეკვაში ვაჩვენოთ არა მხოლოდ ტექნიკა, არამედ ემოცია და ისტორიაც რაც მაყურებელს განსაკუთრებულად დაამახსოვრდება. ასევე ჩვენი გუნდის მიზანია ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია. სწორედ ესაა ჩვენი ხელწერა!

მინდა მადლობა გადავუხადო მოცეკვავეებს, მშობლებსა და, რა თქმა უნდა, იმ საოცარ პუბლიკას, რომელმაც ასე თბილად მიგვიღო! ეს მხოლოდ დასაწყისია – წინ კიდევ ბევრი დაუვიწყარი გამოსვლა გველის!

## სოფელ გომში, შიდა გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია დაიწყო

„სოფელ გომში, გასულ წლებში, ძირითად უბნებზე უკვე განვახორციელეთ გზების მოწყობა,სადაც დაიხაზა და დაიდგა საგზაო ნიშნები, ამჯერად, დარჩენილ უბნებზე მიმდინარეობს სამუშაოები“ -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, გომის საგზაო მშენებლობა, თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 896 297 ლარს შეადგენს.

## სოფელ ხცისში, სასაფლაომდე მისასვლელი გზა ეწყობა

„ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ტერიტორიის მოსწორების სამუშაოები, რის შემდეგაც მოხდება გზის მშენებლობა“ -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ხცისის საგზაო მშენებლობა, თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 272 364 ლარს შეადგენს.

# ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10).

დათიაბიჭები - ადგ., უბანი აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.
დამპალეები - ადგ., სახნავი, სათესი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.
დაფინა სერი - ადგ., სერი სამხრეთის მხარეს

დიდმიწა - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ურთხვის სერთან მაღლობი ვაკე ადგილია. ადრე სახანავი იყო, ახლა გაშენებულია ფიჭვნარი”.

ექვთიმეს წყარო - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ,,გადმოცემით ყანაში მუშაობის დროს ცოცხნარელი გლეხის ექვთიმე გოგალაძის ხარი გაჩერდა და ადგილიდან აღარ იძვროდა. დათიკო გელაშვილმა ექვთიმეს უთხრა ხარისთვის წყალი დაელებინებინა და მოესულიერებინა. ექვთიმეს იქვე ახლოს მინდორზე სველ ადგილზე სახნისით მიწა ამოთხარა და წყალმა ამოჩქეფა. ხარმა წყალი დალია მოღონიერდა და დაკვლას გადაურჩა. იმ დგილზე პატარა წყარო გააკეთეს და მას ექვთიმეს წყარო უწოდეს.”

ვაკე - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,პატარა მინდორია ჭაობის დასავლეთით ამაღლეულ ადგილზე. მის ძირში სამგან გამოდის წყალი. ამ წყაროებს სასმელად ვხმარობთ სამწყემსურში ყოფნის დროს, წყალი ახლლაც ჟონავს”. ვასილის კალო - ადგ., ნაკალოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ნაცარახვევის ბოლოსა და გრძელი მიწის კუთხეში, ჩირგვნართან პატარა მოსწორებული ვაკე ადგილია, სადაც ვასილი გოგალაძე კევრით ლეწავდა და ანიავებდა ხოლმე ქერია მოსავალს”.

ველები - ადგ., სახნავი, სათესი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ფერდობზე ბუჩქნარის გაჩეხვის დროს ნიადაგის მოცურების აცილების მიზნით სახნავი მიწების გამყოფად დატოვილი იყო მცენარეთა ზოლები, რომლებიც ოციოდე წლის წინ კოლმეურნეობამ ნაკვეთების გაერთიანების მიზნით მოსპო”.

ზურაბისეული - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. ვინმე ზურაბს ეკუთნოდა”.

იქით ღელე - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.

ირემაძეების ნასახლარი - ადგ., ნასახლარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ირემაძეების წყარო - ადგ., წყარო ჩრდილო - დასავლეთის მხარეს. ,,ირემაძეების ნასახლარის სამხრეთით და რუსისი წყაროდან დასავლეთის მხარეს მდებარეობს, საძოვარ მინდორში”. კვირაცხოველი - ადგ., სალოცავი, ეკლესიის ნანგრევები. კირკიტაძეები - ადგ., უბანი. აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.

კოტიები - ადგ., უბანი. აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.
კოჩხერიები - ადგ., უბანი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. იგივეა რაც ლაშხევა.
ლაშის საბალახო - ადგ., საძოვარი სახრეთის მხარეს.
ლაშე - ადგ., სათესი, მლაშე მარილიანი მიწები.

ლაშხევა - ადგ., უბანი, იგივეა რაც კოჩხერიები. ღელე, მომავალი ლაშხევადან. ,,ცოცხნარის გზიდან დასავლეთის მიმართულებით უბნისაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ ჭაობიანი საძოვარი ზოლია, რომელსაც ლაშის საბალახოს ეძახიან. ეს ჭაობიანი ლაშეღელე გრძელდება უბნის დასახლებამდე. ამ ღელეს აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება დაფინა სერი და სათიხების სამხრეთის ფერდობები. სამხრეთიდან საწარნაქე სერის და პანტიეს მიწების ჩრდილოეთის ფერდობი. ამ ორ, არც თუ ისე დამრეჩ ფერდობებს შორის არსებულ ჭაობიან ხევს ეწოდება ლაშე-ხევი, ანუ ლაშხევა”.

ლომიძეების უბანი - ადგ., უბანი.
ლომიძეების ღელე - ადგ., ღელე აღმოსვლეთის მხარეს.
ლომიძეების წყარო - ადგ., წყარო.
მრგვალი მიწა - ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

მუხა - ადგ., სათესი, ვენახი.
მუხის მიწა - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.
მწარეკვახები - ადგ., უბანი. აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.
ნაბარები - ადგ., საძოვარი.
ნაბარების ღელე - ადგ., ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ნაგუთნის ბოლო - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს
ნაკაფი - ადგ., ღელე ჩრდილოეთის მხარეს.

ნარვანის ტყე - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ტყე მოქცეულია სურმის, ჯაფინაურის, ბუღაურას, ურხვის, ცოცხნრის და ქემფერის შუაში“.

ნასახლარი//ნასახლარები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სოფელი იქ სახლობდა”. სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ცხოვრობდნენ ირემაძეები, რომლებიც მეცხრმეტე საუკუნის ბოლოს წასულან სხვაგან საცხოვრებლად”.

ნაცარას ახოები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

ნაცარახევი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,გოგალაძეებიდან ურთხვისაკენ მიმავალ გზისა და სურამ-ოძისის გზის შესაყართანაა“.
ნაშვავები - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ დღემდე გრძელდება მიწის ცოცვა, გაშენებულია ფიჭვის ხეები. ეს მიწები ადრე ჯაფინაურს ეკუთვნოდა, შემდეგ მოუნაცვლეს ცოცხნარას.
პანტების მიწა - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ბევრი პანტის ხე იდგა. დღემდე შემორჩენილია რამდენიმე ძირი“.
პელოს ტყე - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ნარვანის ტყის ნაწილია. პელო ერქვა ლაშხევას უბნის პირველი მაცხოვრებლის ექვთიმე გელაშვილის რძალს, რომელიც არავის აძლევდა ტყის ამ მნაკვეთის გაჩანაგების უფლებას, რადგან ის ადრე წლებში მის ოჯახს ეკუთვნოდა”.

რეზოს ჭა - ადგ., ჭა ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,2005 წელს, რევაზ და მარიამ გრიგალაშვილებმა, ხაშურელი გიგა გელაშვილის დახმარებით, სახლის უკან გააკეთეს სასმელი წყლის ჭა და უწოდეს რეზოს ჭა”.

რუსიაშვილები - ადგ; იგივე გოგალაძეების უბანი.

რუსის წყრო - ადგ., წყაო დასავლეთის მხარეს. ,,მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აქ კარვები გაუშლიათ და დროებით დასახლებულან რუსები. მათ გაუკეთებიათ პატარა წყარო, რომელიც დღემდე არ დამშრალა”.

სადაო - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილია, რომლის ირგვლივ მიწების დასაკავებლად დავა ჰქონდათ ცოცხნარის კირკიტაძეების უბნისა და ლაშხევას უნის მცხოვრებლებს... ამობენ, რომ სადაოში არსებულ ჭაობის წყალს აქვს სამკურნალო თვისებები”.

სათიხეები - ადგ., სერი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ მოიპოვებოდა თიხა და ამზადებდნენ კეცებს, ქოთნებს და ა.შ. ამჟამადაც მას ხმარობენ ღვინის ქვევრების დასაგლესად. დაზელვის შემდეგ იგი წყალგაუმტარი ხდება”.

სასვენებელი - ადგ., გზის მონაკვეთი სმხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ნარვანის ტყეში გამავალი გზის ყველაზე მაღალი ადგილი, საიდანაც იწყება დაქანება ჩრდილოეთით ლაშხევას მიმართულებით და სამხრეთით სურამისაკენ”.

საწარნაქე სერი - ადგ., სერი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ მოიპოვება წარნაქი, რომლის დამუშავების შემდეგ იღებდნენ საღებავს”. ,,წარნაქი - წითელი სახატავია“.

სილები - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,მოწითალო ხორხოშა სილის ფენაა ოძისი-სურამის გზის გვერდებზე, ლაშხევადან ტყისაკენ მიმავალი გზის შუა აღმართში”.

სილების წყარო - ადგ., წყარო სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ზურაბისეულშია, საძოვარში”.

ტილიანა - მდინარე

ტყის პირი - ადგ., საზოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ნარვანის ტყის ჩრდილოეთის მხარესაა საძოვრების გაყოლებით”.

ფოსტის გზა - ადგ., გზა ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ოძისის ტერიტორიიდან გამყოფი საზღვარია ქვაფენილიანი გზა. ამ გზის ქვაფენილით მოპირკეთება 1937 წელს დაიწყეს და 1941 წელს შეწყდა ომის დაწყებასთან დაკავშირებით“.

ქარიშხალასტადიონი - ადგ., სტადიონი ჩრდილოეთის მხარეს.

ჩიკვაიძეების გზამწვრილი - ადგ., ბილიკი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,გოგალაძეების დასახლებიდან სურამისაკენ ნარვანის ტყეში მიმავალი ბილიკი, რომელიც საურმე გზას უერთდება სასვენებელთან”.

ჩიკვაიძეების ტყე - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ვერხვნარევი ჩირგვნარი ტყეა ნაცარახვევასა და გოგალაძეები უბანს შორის”.

ჩიკვაიძეების უბანი - ადგ., უბანი, იგივე რაც ლაშხევა, დასავლეთის მხარეს. ,,უბანს ხშირად ჩიკვაიძეების უბანსაც ეძახიან, თუმცა ეს გვარი აქ არ გვხვდება. აქ ცხოვრობენ გოგალაძეები, რომლებიც ლეგენდის თანახმად ადრე იყვნენ ჩიკვაიძეები და ბატონთან უთანხმოების გამო ძველი საცხოვრებელი ადგილიდან გამოიქცნენ აქ”.

ჩიკვაიძეების წყარო - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს.
ღვთისმშობელი - ადგ., სალოცავი.
წვრილმანა - ადგ., გაჩეიხლი ტყე, ჯაგნარი.
წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი.
წმინდა მარინე - ადგ., სალოცავი.

ჭაობი- ადგ., საძოვარი რდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ იყო ორი პატარა ტბა, ერთი მოგრძო, მეორე მომრგვალო. ადგილის დეფორმაციის გამო ტბები აღარ არსებობენ, ჭაობი კი დარჩა. ნაიდაგი მცოცავია და ჭაობიანი”.

## სოფელი წ ა ბ ლ ო ვ ა ნ ა

არსენას წყარო - ადგ., წყარო ჩრდილოეთის მხარეს. ,,ნასახტრების თავზეა. აქ მოკლეს არსენა ლომიძე და სახელიც აქედან მოდის. ბოლშევიკებს ებრძოდა, იმალებოდა ტყეში. რომ ჩამოთოვა ცეცხლი დაანთო, კვამლზე მიაგნეს, მოკლეს და ჩამოიტანეს სოფელში მკვდარი”.
ბერიტყე - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ღოდორის მიმართულებითაა, აქედან დადიოდნენ კორბოულში”.

გადაღმები - ადგ., საძოვარი, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,სოფელში შემართებულ ფერდობზეა, მერე ვაკდება სერი, რომ მთავრდება. სერის გადაღმა არის და ამიტომ ვეძახით”.

გელაშვილების უბანი - ადგ., უბანი სოფელში.

გიგუცას ახო - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს.

გიგუცას წყარო - ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს.

გიორგას ახო - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ტყის მცველი იყო გოგალაძე ცედნიდან, იმას გაუჩეხია ტყე”.

დანგრეულები - ადგ., სახნავი ჩრდდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ მიწა შვავდება, მოშვებულია, მოშვავებულია”.
დიდვაკე - ადგ., სახნავი, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აღმართს რომ აივლიდი, ვაკდებოდა ადგილი”.

დიდსაყარი - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილია. საქონელს რომ ვაძოვებდით, შუადღისას აქ მოგვყავდა. წყალს სვავდნენ და ძირს დაიყრებოდნენ. აქ დაიყრებოდა ხოლმე საქონელი”. დ ი დ ს ე რ ი - ადგ., სერი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ლიხის ქედის აღმოსავლეთი განშტოება.

დიდტბები - ადგ., ნატბეური ჩრდილოეთის მხარეს. ,,სანამ ბერიტყეში მიხვალ მანმადეა. აქ პატარ-პატარა ტბებიც იყო, ზაფხულობით შრებოდა. ის დიდი ტბა არ შრებოდა. ის დიდი ტბა არ შრებოდა, ზაფხულშიდაც იყო”.

ეკლესიის მინდორი - ადგ., მინდორი ეკლესიის გარშემო ჩრდილოეთის მხარეს.

ვაკეახო - ადგ., საძოვარი, სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. იგივე დიდვაკე.

ვერხვები - ადგ., საძოვარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბრილის თავზეა”.

თოფინაგები - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.
ივანიკე - ადგ., ტყე, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ივანიკის ახო - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

ილიკოს წყარო - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ,,ილიკო ნოზაძეს აქ ბაღ-ვენახი ჰქონია, წყაროც მისი გაკეთებულია”.

კაპანაძეების უბანი - უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

კახურაული - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ბერიტყემდე არის”. კვერისები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

კორდიმიწები - ადგ., სახნავი სამხეთის მხარეს. ,,დაუმუშავებელი, გაკორდებული ადგილი იყო, მერე გატეხეს და დაამუშავეს”.

**თამაზ ლაცაბიძე**

(გაგრძელება იქნება)

# ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ევროპული მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა

## მონეტა, რომელიც შუმერული ცივილიზაციის ისტორიის სენსაციად იქცა

ბოლო კვირაა, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ევროპული მედიის ყურადღების ცენტრშია. განსაკუთრებით სამეცნიერო გამოცემები აქტიურობენ და მონეტას, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული, პირდაპირ სენსაციად ნათლავენ. ალბათ, არის კიდეც!

ყველაფერი კი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში იღებს სათავეს, როდესაც ცნობილმა არქეოლოგმა ალექსანდრე(ბიჭიკო) რამიშვილმა ნაცარგორის სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო. აი, სწორედ მაშინ-1986 წლის ივნისის თვეში, აღმოაჩინეს ორი მონეტა, რომელმაც მაშინვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. ყველა სწავლული ადასტურებდა, რომ ეს იყო მართლაც პრეისტორიული მონეტები, თუმცა, სკრუპულუზური გამოკვლევის გარეშე, მაშინ ვერ დადგინდა თუ რომელი ცივილიზაციის კუთვნილება იყო. შემდეგ წლებში, საქართველოში მომხდარი ცნობილი პოლიტიკური (და ეკონომიკურიც) კატაკლიზმების გამო, ამ მონეტების მეცნიერული შესწავლა აღარც მომხდარა და ამ განძმა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) მუზეუმის საცავში დაიდო ბინა. 1994 წელს, ამ მონეტებიდან ერთ-ერთმა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდსაცავში გადაინაცვლა, რომელიც ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი ყველა ნაშრომის მატერიალურ ბაზას წარმოადგენს.

ხაშურის მუზეუმი პირველად ევროპელი მეცნიერების ყურადღების ცენტრში მაშინ მოექცა, როდესაც 2003 წელს, გერმანიაში, კერძოდ კი ქალაქ ბოხუმში, ჩვენს მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. აღ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე) არტეფაქტები გამოიფინა. ამ გამოფენამ პირდაპირ განაცვიფრა ისტორიკოსები. ხოლო, როდესაც იგებდნენ, რომ ამ პატარა მუზეუმში, მთლიანობაში, 100 ათასზე მეტი ექსპონანტი იყო დაცული, რომელთაგან, 70 ათასზე მეტი არქეოლოგიური მონაპოვარია, ამ ფაქტის დაჯერებაც კი უჭირდათ. შემდეგ წლებში, არაერთი ცნობილი მეცნიერი სტუმრობდა ჩვენს მუზეუმს, გასულ წელს კი ევროპაში ყველაზე ცნობილი მეცნიერი (ნუმიზმატიკის განხრით) ავსტრიელი ჰანს გოლდენბერგიც ეწვია. ზოგადად, მსოფლიოში, ხუთი ნუმიზმატიკური ცენტრია-ლონდონში, პარიზში, ვენაში, ბერლინსა და სანკტ-პეტერბურგში. წარმოიდგინეთ, ბატონი ჰანსი, ყველა ამ მუზეუმის საპატიო დოქტორია. როდესაც მან, ჩვენს მუზეუმში, ზემოაღნიშნული მონეტა ნახა, მაშინვე აღიარა, რომ ეს იყო უდიდესი განძი და მსგავსი მონეტა ევროპის არც ერთ მუზეუმს არ

გააჩნდა. გადაწყდა, მონეტის შესწავლა ლონდონში გაგრძელებულიყო, ამას მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცედურები დასჭირდა. თუმცა, გასული წლის ოქტომბერში მოხერხდა და მონეტა ლონდონის სამეფო მუზეუმის ლაბორატორიაში გაიგზავნა. კვლევა უკვე დასრულდა და თებერვალში ცნობილ გამოცემა „ნეიშენალ გეოგრაფიკში“ მთელი სტატია მიეძღვნა ამ მონეტას. როგორც აღმოჩნდა, მონეტა შუმერული წარმოშობისაა და ძ.წ.აღ. VI – V ათწლეულის მიჯნაზეა მოჭრილი, როდესაც, ფაქტობრივად, იწყება შუმერების აღორძინება. ამ პერიოდში, სამხრეთ შუამდინარეთში, ექვსი უდიდესი ქალაქი ფიქსირდება: ერიდუ, ნიფური, ქიში, ლაგაში, ურუქი, ური და უმა. დადასტურებულად, მონეტა ნიფურშია მოჭრილი და რაც ყველაზე საინტერესოა, მასზეა ყველაზე ძველი ლურსმული დამწერლობა, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული. ზოგადად, შუმერებმა წერა თიხის ფირფიტებზე ლერწმით დაიწყეს. ყოველი სიმბოლო აღნიშნავდა რაიმე საგანს,, ან საგანთან დაკავშირებულ ცნებას. მაგალითად სიმბოლო „ფეხები“ ნიშნავდა სიარულს, მოსვლას, მოტანას, დგომას. გრამატიკული ფორმები დამწერლობაში არც აისახებოდა და, თავდაპირველად, არც იყო საჭირო, რადგან დოკუმენტებში აისახებოდა მხოლოდ ციფრები და გამოსათვლელი პროდუქტების სიმბოლოები. მხოლოდ ძვ.წ. 2400 წლისათვის მიიღო ლურსმულმა დამწერლობამ ისეთი სახე, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა. სწორედ ასე იყო დღემდე მეცნიერებაში ცნობილი. და აი, „ჩვენმა“ მონეტამ ეს თარიღი მთელი 1500 წლით დააძველა. მონეტაზე შუმერთა ღმერთი ენლილია გამოსახული. მისი სადიდებელი ტაძარი კი სწორედ ქალაქ ნიფურში მდებარეობდა. აქამდე ასე

იყო აღიარებული, რომ ნიფური შუმერთა რელიგიური ცენტრი იყო. ახლა კი დასტურდება, რომ იგი პოლიტიკური ცენტრიც ყოფილა. მონეტის მეორე მხარეს (ავერსი) წარწერაა - საგ-გიგ. ასე უწოდებდნენ შუმერები საკუთარ მოდგმას, რაც ითარგმნება როგორც „შავთმიანები“. მის ქვეში კი მეორე წარწერა - „ტაბრობანი“. აქამდეც მეცნიერები თვლიდნენ, რომ შუმერების ისტორიული სამშობლო სწორედ ტაბრობანი იყო (კუნძული სამხრეთ ინდოსტანში), მაგრამ ეს დოკუმენტურად არსად დასტურდებოდა.

მოკლედ, მონეტამ, რომელიც მშვიდად ინახებოდა საცავში, ნამდვილი სენსაცია მოახდინა. თუმცა ეს საოცარი ისტორია აქ არ მთავრდება. გასულ კვირას, მუზეუმს ესტუმრა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი გრიგოლ კაკაურიძე, რომელმაც თან ორი ოფიციალური წერილი ჩამოიტანა. პირველი ბერლინის მუზეუმიდანაა, რომელსაც ხელს მუზეუმის დირექტორი დიტრიხ შოლცი აწერს. იგი წერილში ღრმა პატივისცემას გამოხატავს ჩვენი მუზეუმისადმი და აღნიშნავს, რომ დღეისათვის შუმერული მონეტების ყველაზე დიდი კოლექცია სწორედ ბერლინის მუზეუმშია დაცული. თუმცა ადასტურებს, რომ „ხაშურული მონეტა“ ბევრად ძვირფასი და ღირებულია ამ კოლექციაზე. აქვე ადასტურებს, რომ ისინი სიამოვნებით შეიძენენ ამ მონეტას თუკი ხაშურის მუზეუმი გადაწყვეტს მის გასხვისებას. პარალელურად, მონეტით „სოტბსის“ ცნობილი აუქციონიც დაინტერესდა და შეფასებაც გააკეთა - 8 მილიონი ევრო. ეს ლოტის მხოლოდ საწყისი ფასია და არ არის გამორიცხული, აუქციონის პირობებში, მისი ფასი ორჯერ და მეტად გაიზარდოს.

როგორც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გვითხრეს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანხით ახალი ულტრათანამედროვე მუზეუმის აგება იქნება შესაძლებელი, რაც ასე სჭირდება დღეს ჩვენს ქალაქს, მონეტის გასხვისება არ იგეგმება. თანაც, ეს პროცედურა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე არ წყდება და ამისათვის უმაღლესი დონის, სახელმწიფოებრივი კოდირების დასტური ესაჭიროება.

თუმცა, მსოფლიოს მუზეუმებში, კონკრეტული მუზეუმის ფინანსური სიმყარისათვის, ექსპონატის თუ არტეფაქტს გაყიდვა მიღებული ფორმაა და სრულებითაც არაა გამორიცხულ, რომ „ხაშურული შუმერული მონეტა“ მართლაც გაიყიდოს.

ჩვენ კი ამ თემას ისევ დავუბრუნდებით და ახალ ინფორმაციებს პირველწყაროდან მივაწვდით მკითხველს.

**გოგი გოგოლაძე**

# სოფელ ყიფიანთუბანში, ეწყობა მისასვლელი და შიდა გზები

„ზედა ყიფიანთუბანში, უკვე დაგებულია ბეტონის გზა და ამჯერად, ქვედა უბნის საგზაო მშენებლობა ხორციელდება. ზოგადად, ქვიშხეთის მიმართულებით დაიგო 15,3კმ. გზის საფარი და ცხრა სოფლამდე მისასვლელ გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, გარდა ამისა, აშენდა და გარემონტდა სააღმზრდელო დაწესებულებები, მოეწყო 3 მინი სტადიონი, 4 სარეკრეაციო სივრცე. ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ინფრასტრუქტურული მშენებლობის ტენდენცია კვლავაც აქტიურად გაგრძელდება“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ყიფიანთუბანში, ქვედა უბნის საგზაო მშენებლობა, თანადაფინანსებით ხორციელდება და 716 173 ლარს შეადგენს.

- ფ ე ხ ბ უ რ თ ი -

# სეზონი მოვიდა, „ივერია“ იწყებს...

ფეხბურთის ნებისმიერი ჭეშმარიტი გულშემატკივრისთვის, ცალკეულ სეზონებს შუა ინტერვალი, ერთგვარი, „ფუჭი“ დროა. დრო, როდესაც შენი სათაყვანებელი გუნდი ისვენებს და „ღრმა ძილშია“ და შენც იძულებული ხარ, იგივე აკეთო. არადა, ისე ნელა გადის ეს იძულებითი პაუზა, რომ ლამის საუკუნოდ მოგეჩვენოს.

ერთი ძველი გულშემატკივარი მახსენდება, გამწარებული რომ ბრდღვინავდა: - ეს ოხრადასარჩენი ბანკების ვალის გადახდის დრო თითქოს წამებში მოდის და ფეხბურთის სეზონის დაწყებას რა ჯანდაბა წელავსო...

მოკლედ, მოვიდა სეზონი. იწყება ფეხბურთი, იწყებს ჩვენი „ივერიაც“ და იწყება ჩვენი ვნებათაღელვაც. ბუნებრივია, შარშანდელი წარმატების შემდეგ, გულშემატკივრები კიდევ ერთხელ ოცნებობენ იგივეს გამეორებას. რატომაც არა? ჩვენი საფეხბურთო ტრადიციების მქონე მუნიციპალიტეტს სწორედაც უნდა ჰქონდეს პრეტენზია, რომ „ივერია“ თავის „ოჯახს“ დაუბრუნდეს, იმ ოჯახს საიდანაც დაიწყო 90 - იან წლებში - უმაღლეს ლიგას. რა თქმა უნდა, იქამდე დიდი გზაა, მაგრამ მჯერა, ამ გზას აუცილებლად დავძლევთ. მანამდე კი მეოთხე ლიგაში უნდა ვივაჭკაცოთ - აგერ კარზე რომ მოგვდგომია.

ხვალ, 2 აპრილს პირველი თამაში აქვს :ივერიას“ ხელვაჩაურის „მაჭახელასთან“, შემდეგ კი 9 აპრილს ლანჩხუთის „გურიას“ ვმასპინძლობთ.

როგორ ხვდება გუნდი ახალ სეზონს, როგორ ჩაიარა წინასასეზონო მომზადებამ და რა სიახლეებია გუნდში, ყოველივე ამის შესახებ გუნდის უფროსი მწრთვნელი **ზურაბ ლომიძე** გვესაუბრება:

- სამწუხაროდ, თოვლის სახით მოსულმა დიდმა ნალექმა, ბუნებრივია, შეაფერხა წინასასეზონო მზადება. თუმცა, ბოლო დღეებია ერთიან შეკრებაზე გადავედით, და, გარკვეულწილად, ავინაზღაუროთ ეს შეფერხება. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ გუნდი ფიზიკურად თუ მენტალურად მზადაა ჩემპიონატისათვის.

**- რა სიახლეებია გუნდში?**

სამწუხაროდ, ორმა ძირითადმა ფეხბურთელმა გიორგი ლაცაბიძემ და ნიკა ხარაიშვილმა დატოვა „ივერია“. ამ დანაკლისის შევსება, რა თქმა უნდა, იოლი არ იქნება. თუმცა, გუნდს დაუბრუნდნენ სანდრო ხაჩიძე და გიორგი მახარობლიძე. ასევე მოვიდა მეკარე გიორგი მამარდაშვილი (ქარელიდან) და სანდრო ჩხაიძე (გურია). უკვე ჩავატარეთ ხუთი ამხანაგური მატჩი და სეზონისწინა პერიოდისათვის ურიგოდ არ გამოვიყურებ ით. აღსანიშნავია, რომ ამ ხუთიდან

სამი მესამე ლიგის ბინადარია - „გორი“ (1:1), გარდაბანი (0:2) და „ბორჯომი“ (1: 1). დანაჩენ ორთან კი ასეთი შედეგები გვქონდა: ქარელთან 4:0 გავიმარჯვეთ, „აბულთან“ კი - 5;2.

**- რა მიზნები აქვს წელს „ივერიას“?**

ახალს არაფერს ვიტყვი, რომ ყველაფერი ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი მერიის და ადგილობრივი ბიზნესმენების ძალისხმევით, ჯერჯერობით, ამ მხრივ, სტაბილური მდგომარეობაა. პროგრამა მინიმუმი ჩვენთვის ათეულში თავის დამკვიდრებაა, მაქსიმუმი კი, რა თქმა უნდა, პირველობისათვის ბრძოლაა. წელს, მესამე ლიგაში სამი გუნდი აღზევდება (ოთხი გავარდება). ჩვენთვის უდიდესი წარმატება იქნება თუნდაც მესამე ადგილი.

**- ჩვენს მეტოქეზე რას იტყვი?**

აი, ამ მხრივ, სამწუხაროდ, მწირი ინფორმაცია გვაქვს, რადგან გუნდების უმრავლესობა თითქმის ახლიდან დაკომპლექტდა. განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთის გუნდებს, რომლებთანაც შეხვედრები, ბოლო წლებში, პრაქტიკულად, არ გვქონია. ვიცით მხოლოდ ის, რომ სერიოზული ფინანსები მოიძიეს ლანჩხუთმა, „არაგველებმა“ და „სამგურალი 2“-მა.ჩვენი აზრით, სწორედ ეს სამი გუნდი იქნება ძირითადი კონკურენტი.

**- აუცილებლად უნდა გკითხო ლუკა ლაცაბიძეზე, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში უხმეს...**

ლუკამ ხაშურში აიდგა ფეხი და პირველი ნაბიჯები აქ გადადგა. მისი ნაკრებში გამოძახება უდიდესი სტიმულია თითოეული ხაშურელი ფეხბურთელისათვის. მჯერა, იგი ძალიან დიდ ფეხბურთს ითამაშებს და დიდი გუნდებიც დაინტერესდებიან მისით...

**- „ივერიის“ გულშემატკივრებზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა...**

- ოოო, ამ მხრიმ, მართლაც ჩემპიონები ვართ. ჯერ დასწრების მხრივ ხომ ვლიდერობთ და უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის ამდენი გუმშემატკივარით, ესეც არ იყოს, „ივერია“ მუდმივად გრძნობს მათ თანადგომას და გადაუმეტებლად ვიტყვი - ჩვენი გულშემატკივარი მეთორმეტე ფეხბურთელია მინდორზე. ამისათვის კი მადლობა ყველას...

მაშ ასე: ხვალ „ივერია“ იწყებს!

**წარმატებები ჩვენს საყვარელ გუნს!**

**გ. გოგოლაძე**

## პატარა სამბისტების წარმატება

გასულ კვირას, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს მრავალგზის პრიზიორის დავით დავითაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი ჭიდაობა სამბოში, 2010 – 11 და 2012 – 13 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც შესანიშნავად იასპარეზეს ხაშურელმა პატარა სპორტსმენებმა. ჩემპიონები გახდნენ ნიკა ნოზაძე (24კგ), თემურ ნოზაძე (30კგ), მერაბ გოგატიშვილი (34კგ), ანდრია ქიტიაშვილი (38კგ), გაბრიელ მეხრიშვილი (38კგ), ნუგზარ ნოზაძე (46კგ).საპრიზო ადგილებზე კი გავიდნენ პავლე ტაბატაძე, გიორგი გოგალაძე, გიორგი ნეფარიძე, გიორგი კაპანაძე, საბა ჩინჩალაძე, საბა გრიგალაშვილი, საბა ხარაზიშვილი, ილია გოგალაძე, დაჩი ლომიძე, მათე მოსიაშვილი, მოსე ნოზაძე, ლუკა ღონღაძე, ზაზა შუკაკიძე, ლუკა გრიგალაშვილი, ალექსანდრე მაისურაძე.

გაზეთის V გვერდზე, მუზეუმთან დაკავშირებული წერილი საპირველაპრილო ხუმრობაა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.